

ფუნქციონალურ დიფერენციალურ განტოლებათა ამონახსნების ოსცილაციური თვისებების შესახებ

ნინო მარანელი

გადახრილ არგუმენტიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებისათვის

$$u^{(n)}(t) + p(t)|u(\sigma(t))|^\lambda \operatorname{sign} u(\sigma(t)) = 0,$$

სადაც

$$\lambda > 0, \quad \lambda \neq 1, \quad p \in C(R_+; R_+), \quad \lim_{t \rightarrow +\infty} \sigma(t) = +\infty,$$

შესწავლილია ამონახსნების ოსცილაციური თვისებები. კერძოდ, დადგენილია საკმარისი (აუცილებელი და საკმარისი) პირობები იმისა, რომ მოცემულ განტოლებას გააჩნდეს ე.წ. A თვისება.